- ✓ *თსუ–ში გადმოსვლის უფლება აქვს მხოლოდ იმ სტუდენტს, რომელმაც დადგენილ ვადაში გაიარა რეგისტრაცია განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე. მობილობის მსურველი პირი, ვალდებულია განსაზღვრულ ვადაში მიმართოს განცხადებით თსუ–ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.*
- ✓ *თსუ–ს სამაგისტრო პროგრამაზე გადმოსვლის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მაგისტრანტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამისი პროგრამის წინაპირობებს.*
- ✓ *თსუ–ს მაგისტრატურაში მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვისთვის დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე ჩაირიცხებიან ის მაგისტრანტები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა და მიღებული შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. ამ წესით მაგისტრანთა ჩარიცხვისას ვაკანტური ადგილის დარჩენის შემთხვევაში, ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებენ საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ჩარიცხული ის მაგისტრანტები, რომლებიც პირველად უსდ–ში ჩაირცხნენ თსუ–ში საერთო სამაგისტრო გამოცდამდე არსებული მაგისტრატურაში მიღების წინაპირობების დაცვით.*

არსებული ვაკანსიები:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

ვადები:

- საბუთების მიღება – 2–6 აგვისტო
- თსუ–ში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება – 2–12 აგვისტო
- სტუდენტთათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა – 16–17 აგვისტო
- საბოლოო შედეგები – 18 აგვისტო

საბუთების ჩამონათვალი:

- განცხადება თსუ რექტორის სახელზე (განცხადების ფორმა ივსება საბუთების ჩაბარებისას ფაკულტეტზე);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი ;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტის ჩარიცხვის ბრძანების ასლი **(დამოწმებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით**);
- ამონაწერი მაგისტრანტის სასწავლო ბარათიდან **(ამონაწერი დამოწმებული იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით**);
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების სერტიფიკატის ასლი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ მისთვის ქართული არ არის მშობლიური ენა და სწავლის გაგრძელება სურს ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე;
- სამხედრო ბილეთის ასლი;
- 30– ლარიანი ქვითარი.

<u>სამანკო რეკვიზიტი:</u> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, სს "ბანკი რესპუბლიკა" ბანკის კოდი 220101757 GE 22 BR 0000000000345634

(შენიშვნა: კონკურსის დამთავრების შემდეგ, კონკურსანტს წარმოდგენილი საბუთები უკან აღარ უბრუნდება).

საბუთების მიღება იწარმოებს – ***<u>2 აგვისტოდან _ 6 აგვისტოს ჩათვლით</u>***

<u>10სთ-დან _ 17სთ-მდე</u>:

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – უნივერსიტეტის ქ. 2, თსუ (ბიოლოგების) XI კორპუსი, ოთახი №303.
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – ი. ჭავჭავაძის №36. თსუ V კორპუსი, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი.

- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – თსუ VI კორპუსი, II სართული, ოთახი №202.
- ეკონომიკის ფაკულტეტი – უნივერსიტეტის ქუჩა №2, (მაღლივი) X კორპუსი, VI სართული, ოთახი №602.
- მედიცინის ფაკულტეტი – ი. ჭავჭავაძის გამზ. № 5, თსუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის /ყოფილი "ლეჩკომბინატის"/ ტერიტორია, შესასვლელი ეზოდან.